გ

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვა

შეფასების თარიღები: 14 და 15 დეკემბერი 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 23 იანვარი 2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2023.01.22 15:58:25

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | **სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმო** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **225391652** |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **დიახ** |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **დიახ** |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **დიახ** |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | **არა** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქ. ბოლნისი** |
| იურიდიული მისამართი | **ქ. ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ. №29** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქ. ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ.№29** |
| საფოსტო ინდექსი | **1100** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **https://davitiani.edupage.org/** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **davitiani.kuka@mail.ru** |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **596017474; 558 18 88 78** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მარინა გორშკოვა |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **596017474; 558 18 88 78** |
| ელ-ფოსტა | davitianida@mail.ru |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 04.11.2022წ. ბრძანება N1409578 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვაში ვიზიტის შესახებ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 14 და 15 დეკემბერი 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნოდარ ანგურიძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ტუკვაძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.6.* | |
| | *2.7* | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.4.* | . |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.6.* | 1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მეორე სართულის მცირე დერეფანსა და მეორე სართულის კიბის უჯრედში დაამონტაჟოს კამერები, ამასთან მოხსნას კამერა სპორტული დარბაზიდან.<br>*2.* სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სამედიცინო კაბინეტი მოაწყოს არანაკლებ 12 კვ.მ. ფართის ოთახში. |
| | *2.7.* | 1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით შინაგანაწესიდან ამოიღოს პუნქტი რომლის მიხედვითაც, <u>დირექტორს უფლება აქვს „მშობელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მისაღებად“</u>. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | 2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია დებულება, საშტატო განრიგი და სტრუქტურა მოეყვანა ერთმანეთთან თანხვედრაში. |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლა ,,დავითიანი“ მდებარეობს მრავალეთნიკურ რეგიონში. კერძოდ, ქალაქ ბოლნისში, ამიტომ სკოლის მთავარი პრიორიტეტია ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში. მიზნის მისაღწევად სკოლა იყენებს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებას. სკოლამ არაფორმალური განათლების ფარგლებში განახორციელა შემდეგი აქტივობები:<br>პროექტის ,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მრავალეთნიკური მოქალაქეობა", საპილოტე პროექტი ,,მრავალეთნიკური დღე სკოლაში“. სკოლა შეირჩა კონკურსში გამარჯვების შემდეგ. სკოლა ,,დავითიანმა“ შექმნა გზამკვლევი ,,მრავალეთნიკური საქართველო“ სამ ენაზე, (აზერბაიჯანული, სომხური, ქართული), სადაც ახსნილია თუ როგორ შეიძლება ჩაატაროს სკოლამ კულტურული მრავალფეროვნების დღეები სკოლაში.<br>საწარმო ,,Art Davitiani”, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს Junior Echievement Georgia-სთან , საქპატენტთან (ინტელექტუალური საკუთრება) და ადგილობრივ თვითმმართველობასთან. საწარმოში მეორადი გამოყენების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნითებისგან, ნარჩენებისგან იქმნება ხელნაკეთი ნივთები, სათამაშოები.<br>სკოლა ატარებს სოციალურ აქციას, რომლის ფარგლებში ქალაქის ცენტრში შექმნა სოციალური გარდერობი.<br>დამკვიდრებული ტარდიციაა 3-8 მარტს ,,გვინდა მოგეფეროთ“ აქცია, რომლის ფარგლებში მოსწავლეები, მასწავლებები და მშობლები კრეფენ იებს, კრავენ კონებს, აკეთებენ მისალოც ბარათებს და ჩუქნიან ქალბატონებს.<br>,,სიკეთის ეპიდემია“ - ამ აქცის ფარგლებში სასკოლო საზოგადოება, თემში არიგებს ტკბილეულს და ბუკლეტებს.<br>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა-ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ჰავლიჩკუვ ბროდის სკოლა ,,ჰავლიჩკუვ ბროდსა"და საქართველოს, ქ.,ბოლნისის კერძო სკოლა,,დავითიანს" შორის გაფორმდა მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, ჩეხ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის, ასევე ორივე ხალხის კულტურული და სულიერი ფასეულობების გაცნობა, მეგობრობის დამყარება, ერთობლივი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა, ჩვენი აღსაზრდელებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი განათლების მიწოდება, სიახლეების მიება, მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაში ხელშეწყობა, კრიტიკული, დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების განვითარება. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მათი ინტეგრირება. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 150 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვამ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, მათ შორის, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმი.№2, 08/09/2022) განხილული და დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრ. N74 08.09.2022. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის სხდომის ოქმი-1, რომელიც ეხება სასკოლო დოკუმენტების მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზების ჩასწორებას, მათ შორის, ხარვეზები ჩასწორდა სსგ-შიც. ჩასწორებული სასკოლო გეგმა პედ.საბჭომ განიხილა სხდომაზე (პედ. საბჭოს სხდომის ოქმი №3 15/12/2022) და წარედგინა სკოლის დირექტორს დასამტკიცებლად.<br>2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო *სასწავლო* გეგმა (ჩასწორებული) განსაზღვრავს სკოლის მისიას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სწავლების საფეხურების ძირითად ამოცანებს, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხას კლასების მიხედვით, სასწავლო წლის კალენდარს, დღის რეჟიმს, საათობრივ ბადეს, ესგ-ით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებას, ინკლუზიურ განათლებას, შეფასების პრინციპებს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვას, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებს და ,ასევე, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები), საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.<br>**სასწავლო წლის კალენდარი -** სასწავლო წლის დაწყება-დასრულების ვადები ასეთია: მეორე სემესტრი იწყება 23 იანვარს, 16, 17, 18 და 20 იანვრის აღდგენა მოხდება მომდევნო 4 შაბათის ხარჯზე. სსგ-ში წარმოდგენილია ასანაზღაურებელი დღეების გრაფიკი. უქმი დღეები განსაზღვრულია შრომის კოდექსის შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გაკვეთილების ხანგრძლივობა:
I კლასში - 35 წუთი;
II კლასში - 40 წუთი;
III-XII კლასებში -45 წუთი.

III-XII კლასის მოსწავლეებს გაკვეთილების შუალედში აქვთ ხუთწუთიანი შესვენება, ხოლო მესამე გაკვეთილის შემდეგ-10 წუთიანი, I კლასის მოსწავლეებს აქვთ 10 წუთიანი შესვენება, ხოლო მესამე გაკვეთილის შემდეგ-15 წუთიანი.

**საათობრივ ბადე** - სკოლას არჩეული აქვს პირველი მოდელის საათობრივი ბადე. საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგნები. გათვალისწინებულია მე-10 კლასში პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა: 1სთ სამოქალაქო განათლებაში და 1სთ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.

არჩევით საგნებად განსაზღვრულია:

- ✓ მეწარმეობა-მე-10 კლასი
- ✓ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა-მე-11 კლასი
- ✓ ასტრონომია-მე-12 კლასი.

დამატებითი მომსახურეობა შეთავაზებულია წრეების სახით. სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა წრეობრივი მუშაობის სასწავლო გეგმები.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ წრეებს.

- ✓ ქართული ხალხური ცეკვის წრე
- ✓ ქართული ენის შემსწავლელი წრე არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის
- ✓ სასცენო ოსტატობა
- ✓ უცხოური ენების წრე (რუსული, ინგლისური)
- ✓ ინტელექტუალური კლუბი (რა, სად, როდის)
- ✓ სამოქალაქო კლუბი ,,დავითიანი მომავლისათვის“
- ✓ საოლიმპიადე საგნობრივი წრე: მათემატიკა და გეოგრაფია
- ✓ მეწარმეობის წრე

**ინკლუზიური განათლება** - გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებით. განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმის შედგენის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ვადები- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში.

**შეფასების პრინციპები,** რომელიც განსაზღვრავს შეფასების სისტემას და მეთოდებს, შეფასების ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას დონეების მიხედვით, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნებს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობასა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესებსა და პირობებს, საგნისა და კლასის დაძლევის ბარიერს და გამოცდების ტიპებს.

**საგნობრივი კათედრები -** სკოლაში 4 საგნობრივი კათედრაა.

- ✓ სახელმწიფო ენისა და უცხო ენების კათედრა
- ✓ ზუსტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტის კათედრა;
- ✓ დაწყებითი საფეხურის კათედრა
- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა .

გაწერილია კათედრისა მიზნები და ფუნქციები.

**მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია და კარიერულ დაგეგმვა –** სასწავლო წლის მანძილზე სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ტიპის აქტივობები:

- ✓ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მოწვევა და მოსწავლეებთან შეხვედრა
- ✓ ექსკურსიები თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე უნივერსიტებში.
- ✓ უცხოური უნივერსიტეტებისა და კოლეჯების გაცნობა ინტერნეტსაიტების მეშვეობით.
- ✓ ექსკურსიები თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე პროფესიულ კოლეჯებში.
- ✓ ექსკურსიები სხვადასხვა ორგანიზაციაში.
- ✓ ექსკურსია საქართველოს პარლამენტში (თბილისი)
- ✓ ვიზიტი ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში.

**კლასის დამრიგებელი –** ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა და გაწერილი დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს კლასების მიხედვით.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. |
| ტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 წწ სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმი№3; 15/12/2022<br>• მონიტორინგის სხდომის ოქმი-№1 08/12/2022<br>• ინტერვიურება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასკოლო გეგმით განსაზღვრული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანების, საგნობრივი კათედრების, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების, სადამრიგებლო პროგრამებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების გაცნობამ, ასევე, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ სკოლა ორიენტირებულია დააკმაყოფილოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები.<br>სკოლაში შეიქმნა ოთხი საგნობრივი კათედრა.<br>✓ სახელმწიფო ენისა და უცხო ენების კათედრა;<br>✓ ზუსტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტის კათედრა;<br>✓ დაწყებითი საფეხურის კათედრა;<br>✓ საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.<br>ონლაინ კათედრებისა და ადგილზე ვიზიტის დროს კათედრის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პორტფოლიოების შესწავლამ გვაჩვენა, რომ კათედრაზე მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ საგნობრივი თემატურ-კალენდარული გეგმები, სადაც გაწერილია სასწავლო თემების მიზნები, საფეხურის სტანდარტის შედეგები, რესურსების ჩამონათვალი და შეფასება. პორტფოლიოებში, ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების სქემები, კათედრის ოქმი, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, მოსწავლეთა ნამუშევრები, მასწავლებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ანალიზები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი წარმოდგენილია კათედრის მიერ შემუშავებული ფორმით, სადაც აღნიშნულია შემაჯამებელი დავალების ჩატარების თარიღი, ფორმა, მოსწავლეთა რაოდენობა, სტანდარტის შედეგი, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა, მოსწავლეთა მიერ მიღებული შეფასები, კლასის საშუალო არითმეტიკული ქულა, დავალების ძლიერი და სუსტი მხარეები, ხარვეზის აღმსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები.<br>ონლაინ კათედრებზე (ვირტუალური, დახურული ჯგუფი) წარმოდგენილია კათედრის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა. ვიზიტის დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრის მუშაობის შესახებ, აღნიშნეს, რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, ჩატარებული გაკვეთილების განხილვა და რეკომენდაციების მიცემა. ისაუბრეს კათედრების ფარგლებში ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე, არაქართველი მოსწავლეების მხარდამჭერ ღონისძიებებზე სწავლაში არსებული სიძნელეების დასაძლევად.<br>სკოლაში არსებული მრავალფეროვანი არაფორმალური განათლება სამივე საფეხურის მოსწავლეების საშუალებას აძლევს ინტერესების, საჭიროებისა და შესაძლებლობების მიხედვით გაერთიანდნენ სასურველ წრეში. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოგვიდგინა საკუთარი საწარმო „Art Davitiani"-ში შექმნილი ნამუშევრები. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა განათლებისა და საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობას ფარგლებში სკოლას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ესტუმრნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო თანასწორობის პლატფორმის“ წევრები. ტრენინგის მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა და ადამიანის ძირითადი უფლებები. „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებასთან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, სკოლის X, XI, XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ერასმუს+ მოკლევადიან გაცვლით პროგრამებში. პროგრამის მიზანია არაფორმალურ განათლებაში მოსწავლეთა უნარების განვითარება. სკოლის მიერ განხორციელებული აქციები: ,,სოციალური გარდერობი“, ,,სიკეთის ეპიდემია“, ,,გვინდა მოგეფეროთ“ და სხვა. აღნიშნული აქციები უზრუნველყოფენ მოსწავლებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებას. სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, რომ სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა კონკურსში, ზრუნავს მოსწავლეებში სახანძრო უსაფრთხოების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.<br>სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმართველობის მიზანია, მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმონ მრავალფეროვანი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემასა და მოსწავლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებას.<br>ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლის პორტფოლიო მოიცავს, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველ მასალებს.<br>ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • კათედრის პორტფოლიოები<br>• ონლაინ კათედრები<br>• მასწავლებლის პორტფოლიოები<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები<br>• გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან<br>• დაწესებულების ვებგვერდი<br>• თვითმართველობის დებულება<br>• ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებასთან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 13/09/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების საკითხებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებსა და პირობებს, ასევე, სსსმ მოსწავლის შეფასების წესს. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი დამატებითი წრეების ფუნქციონირება, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში.<br>მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ პედაგოგები ეხმარებიან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებაში. ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში უტარებენ დამატებით გაკვეთილებს.<br>სკოლაში განხორციელებული ,,მოსწავლეთა საჭიროების კვლევა“ საშუალებას აძლებს მასწავლებლებს მოახდინონ პრობლემის ზუსტი იდენტიფიცირება და განსაზღვრონ დამატებითი ღონისძიებები აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.<br>არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის შექმნილია ქართული ენის წრე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს არაქართულენოვან მოსწავლეებს შეისწავლონ სახელმწიფო ენა და დაძლიონ ენობრივი ბარიერით გამოწვეული სირთულეები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამრიგებლის პორტფოლიოებში წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარბას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეებში.<br>ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლებისა და განვითარების თანაბარი პირობებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• დამრიგებლის პორტფოლიო<br>• მოსწავლეთა საჭიროების კვლევა<br>• წრის დებულება<br>• ქართული ენის წრის სამუშაო გეგმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო გეგმის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ,,სკოლის შეფასების სისტემა და მეთოდები“, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები; საგნობრივი ბარიერი და კლასიდან კლასში გადაყვანა; გამოცდების ტიპები; შემაჯამებელი დავალებები და მინიმალური რაოდენობა.<br>სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგნისა და კლასის დაძლევის ბარიერები შესაბამისობაშია ესგ-სთან, ასევე განსაზღვრულია, რომ პირველ-მეოთხე კლასების ბოლოს და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეთა შეფასება ხდება კომენტარებით. სემესტრის ბოლოს დამრიგებელი მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერს შემაჯამებელ კომენტარს.<br>სსგ-ით არ არის განსაზღვრული საფეხურის დაძლევის პირობები, თუმცა გვხვდება ჩანაწერი საფეხურის საერთო ქულის შესახებ, რომ მას აქვს ოფიციალური ნიშნის სტატუსი. გასაუბრების დროს ხარისხის მართვის მენეჯერმა და დამრიგებლებმა ისაუბრეს საფეხურის საერთო ქულის გამოყვანის წესზე. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევისწავლეთ რამდენიმე მოსწავლის პირადი საქმე. პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ სკოლაში ესგ- ს 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ხდება საფეხურის საერთო ქულის გამოყვანა. <u>სასურველია სასკოლო გეგმაში იყვეს მკაფიო ჩანაწერი საფეხურის დაძლევასა და საფეხურის საერთო ქულის გაანგარიშების წესის შესახებ.</u><br>სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს. სკოლას გაწერილი აქვს თითოეულ საგანში სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რომელიც თანხვედრაშია ესგ-ით განსაზღვრულ სავალდებულო შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობასთან. მოსწავლე, რომელიც გააცდენს შემაჯამებელ დავალებას აღდგენის საშუალებას სკოლა მისცემს სამჯერ ყოველი თვის ბოლო კვირას.<br>სსგ-ში გაწერილია, რომ სემესტრის განმავლობაში სკოლაში ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე სარეიტინგო წერები და სარეიტინგო წერების შედეგად მიღებული ნიშნები არ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილ სსგ-ში, სარეიტინგო წერებთან მიმართებით კიდევ ასეთი ჩანაწერიც იკითხება - ,,სარეიტინგო წერა არის სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი სამუშაო, რომელიც ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს, რათა მოსწავლეებმა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებმა გაანალიზონ ცოდნის დონე“ .<br><u>სკოლას ეძლევა რჩევა, სწორად განსაზღვროს სემესტრის ბოლოს ჩასატარებელი სარეიტინგო წერის სტატუსი, მიზნები და შეფასების პრინციპი.</u><br>ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი სასკოლო გეგმით სკოლაში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:<br>✓ სემესტრული გამოცდა<br>✓ წლიური გამოცდა;<br>✓ საშემოდგომო გამოცდა;<br>✓ ექსტერნატის გამოცდა.<br>2022-2023 სასწავლო წელს წლიური გამოცდები არ არის დაგეგმილი.<br>კათედრის პორტფოლიოებში განთავსებულია შემაჯამებელი დავალებების ამსახველი მასალები. შემაჯამებელი დავალებების განრიგი, შეფასების რუბრიკები დავალებების ფორმის შესაბამისად. შეფასების სქემები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. აღნიშნული მასალებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები აფასებენ ყოველ სასწავლო ერთეულს. აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს წინასწარ შემუშავებული ფორმით, სადაც მოცემულია შემაჯამებელი დავალების თემა, ჩატარების ფორმა და თარიღი, შემაჯამებელი დავალების მიზანი და სტანდარტის შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა ამ შემაჯამებელ დავალებაში, პრობლემის გადაჭრის გზები და შენიშვნები. სკოლაში ტარდება სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები: ტესტური, ესსე, პრობლემის გადაჭრაზე განსაზღვრული ამოცანა.<br>ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა მასწავლეებლთა საჭიროება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების დანერგვის შესახებ. ნოემბრის ბოლოს სკოლაში ჩატარდა ტრენინიგი, მოწვეული იყო ახალი სკოლის მოდელისა და არაქართულენოვანი სწავლების კონსულტანტი, რომლებმაც მასწავლებლებს გააცნო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, თავისებურებები, ძირითადი პრინციპები და მეთოდიკური ორიენტირები, ასევე, არაქართულენოვანი მოსწავლეებთან ენობრივი ბარიერის დაძლევის სწავლების მეთოდიკა.<br>მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი დავალებების განრიგი ცნობილია მათთვის, ასევე, იციან რა თემაზე და რა კრიტერიუმებით ფასდება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მონიტორინგის სხდომის ოქმი-№1 08/12/2022<br>• კათედრის პორტფოლიოები<br>• შეფასების რუბრიკები<br>• მოსწავლეთა პირადი საქმეები<br>• ხარისხის მენეჯერთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიურება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მშობლებთან ურთიერთობის საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, დამრიგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია და მშობელთან ურთიერთობის დებულება.<br>მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, ფორმა და პრინციპები.<br>მშობელი სკოლაში ცხადდება დირექციის, დამრიგებლის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეხვედრას.<br>მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:<br>✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);<br>✓ ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;<br>✓ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;<br>✓ ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;<br>✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;<br>✓ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.<br>✓ სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).<br>მასწავლებელი, მშობელთან შეხვედრის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია.<br>მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან დირექციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.<br>სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;<br>სკოლაში შექმნილია მშობელთა სათათბირო, რომლის მიზანია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლასა და მშობელს შორის თანამშრომლობის განმტკიცება და მშობლების ჩართვა სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში ტარდება მშობლის კვირეული. კვირეულის ფარგლებში, მშობლები სტუმრობენ შვილებს სკოლაში და თავისი შერჩეული თემებით ატარებენ მშობლის საათს. კვირეულში აქტიურადაა ჩართული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მშობლებიც. პროექტის "ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა" ფარგლებში სკოლაში განხორციელდა აქტივობა "თემის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში". ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეების მშობლებს ჩაუტარდათ მასტერკლასი. პროექტში ჩართულ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად მათ დაამზადეს ხელნაკეთი ნივთები.<br>მშობლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს ელექტრონული ჟურნალის დადებით მხარეებზე. ისინი ოპერატიულად ეცნობიან საკუთარი შვილების აკადემიურ მოსწრებას. სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის დახურული ჯგუფების საშუალებით მშობელი ინფორმირებულია კლასში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე, დადებითად აფასებენ დამრიგებლების მუშაობასა და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს.<br>სკოლის მიერ შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის დებულება უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებასა და მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მშობლებთან ურთიერთობის დებულება<br>• დამრიგებლის დებულება-თანამდებობრივი ინსტრუქცია<br>• დამრიგებლის პორტფოლიო<br>• მშობელთა სათათბიროს დებულება<br>• მშობელთა სათათბიროს კრების ოქმი-№1 (19.09.2022)<br>• გასაუბრება მშობლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას დებულების სახით შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემა“.<br>წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ხარისხის მართვის მენეჯერს. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმიდან ჩანს, რომ იგი შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და აკეთებს შესაბამის ანალიზს.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში მონიტორინგს ექვემდებარება:<br>✓ საგნობრივი პროგრამები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;<br>✓ აკადემიური პერსონალი;<br>✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.<br>შეფასება/ ანალიზის საფუძველზე, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარის გამოკვეთის შემდეგ, ხდება სკოლის რეაგირება-განვითარების ღონისძიებების განსაზღვრა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისათვის სკოლაში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:<br>✓ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;<br>✓ მასწავლებლების საგაკვეთილო მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;<br>✓ სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად .<br>ხარისხის მართვის მენეჯერმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლაში წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. ასევე, შემუშავებულია სასკოლო გეგმის შეფასების სქემა, რომლის მიხედვით, სასწავლო წლის ბოლოს ფასდება სსგ-ის თითოეული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნაწილი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინება ხდება შემდგომ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების დასახვას. გარდა გამოკითხვებისა, სკოლაში ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, გამოცდილების გაზიარება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები წინასწარ შემუშავებული ფორმების საშუალებით. ასევე აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ხდება ,,მოსწავლეთა საჭიროების კვლევა“.<br>მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის კათედრების შეხვედრებზე მუდმივად განიხილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზები და საშუალებები. ასევე, განიხილება სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბრძანება N71/ბ 02.09.2022 ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემა“;<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა;<br>• ,,მოსწავლეთა საჭიროების კვლევა“-ანგარიში;<br>• ინტერვიურება ხარისხის მართვის მენეჯერთა და მასწავლებლებთან;<br>• შემუშავებული კითხვარები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | 1. სასურველია სასკოლო გეგმაში იყვეს მკაფიო ჩანაწერი საფეხურის დაძლევასა და საფეხურის საერთო ქულის გაანგარიშების წესის შესახებ. ესგ-ს 34-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისად<br>2. სკოლას ეძლევა რჩევა, სწორად განსაზღვროს სემესტრის ბოლოს ჩასატარებელი სარეიტინგო წერის სტატუსი, მიზნები და შეფასების პრინციპი. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1406,70 | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვა, |

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საჯარო რეესტრის ამინაწერის მიხედვით იჯარით ფლობს მიწის ნაკვეთს (**მიწის ნაკვეთის ფართი 1311,5 კვ.მ.**) და მასზე განთავსებული შენობის ნაწილს **(ფართი 632,9 კვ.მ.) ბოლნისში დ. აღმაშენებლის N29-ში.**<br>საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია, რომ იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 14.03.2018, 6 წლის ვადით, შენობის მესაკუთრეა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 18 წელია, რაც ვადის გასვლის შემდეგ სკოლამ და მერიამ რამდენჯერმე გააგრძელეს იჯარის ვადა (ხელშეკრულებაშიც არის პუნქტი, რომ ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით), სკოლას მიეცა რჩევა, რომ მერიისგან მოიპოვოს (თუ ეს შესაძლებელია) გარანტიები, იჯარის უპირობო და უპირატესი განგრძობის შესახებ. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. ბოლნისი, დ, აღმაშენებლის ქუჩა, N29 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **80.06.68.050** |
| *კვ.მ.* | 632.9 |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2.საკადასტრო გეგმა;<br>3.აზომვითი ნახაზი;<br>4.ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის პირველ და მეორე სართულზე საერთო ჯამში 12 საკლასო ოთახია. შენობაში, ასევე, არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, რეკრეაციული სივრცე.<br>სკოლას შეძენილი და ნაჩუქრობით მიღებული აქვს ერთადგილიანი და ორადგილიანი მერხები. სკოლამ წარმოადგინა ორადგილიანი მერხების ერთადგილიანებად დაყოფის დოკუმენტები. საერთო ჯამში სკოლაში რეალურად არის 177 მერხი (მათ შორის კიდევ არის ორადგილიანებიც, თუმცა, სკოლას ერთადგილიანი მერხი 150 ერთეულზე მეტი აქვს) და 200-მდე სკამი. საკლასო ოთახები მოსწავლის მერხებთან ერთად, აღჭურვილია სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, რუკებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. მერხებისა და სკამების ჩუქებისა და ორადგილიანის ერთადგილიანად დაყოფის ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის სარდაფის სართულზე მოწყობილია დიდი ზომის ოთახი სპორტული დარბაზის დანიშნულებით, რომელსაც სკოლა, საჭიროების შემთხვევაში სააქტო დარბაზადაც იყენებს. სკოლის ეზოში მოწყობილია ფართო სპორტული მოედნის დანიშნულებით. აღსანიშნავია, რომ მოედნის საფარი მოსაწესრიგებელია (ბუნებრივი მიწიანი გრუნტია), სკოლას მიეცა რჩევა მოაწესრიგოს მოედნის საფარი, ისე, რომ წვიმის შემდეგ ბუნებრივგრუნტიანი საფარი დიდხანს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამოუყენებელი რჩება.<br>სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: სხვადასხვა სახეობის ბურთები, ჩოგბურთის ბადე, კალათბურთის ფარები, მინი ფეხბურთის კარებები და სხვა.<br>ამასთან ერთად, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ,,ააიპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსთან“ და ,,ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტისა სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურთან’’ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთია ის, რომ სკოლას ამ დაწესებულების ფარგლებში არსებული სტადიონებისა და სპორტული მოედნების გამოყენების უფლება ეძლევა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია ჰქონდა შენობის მეორე სართულის ორ ოთახში. ერთ მათგანში, რომელიც იკეტება, რეაქტივები და ონკანია ნიჟარით, მეორეში ლაბორატორიული აღჭურვილობებია. ფიზიკის, ბიოლოგიის სადემონასტრაციო ცდები მოსწავლეებს უტარდებათ კლასებში, ხოლო ქიმიის ცდები, რომლებიც სკოლის წარმომადგენლის განმარტებით უსაფრთხო, საყოფაცხოვრებო პროდუქტების (საჭმელი სოდა, მარილი, ძმარი და მისთანანი) გამოყენებით ხორციელდება - ტარდება ლაბორატორიულ ოთახში, რომელშიც ცდების სადემონსტრაციო მაგიდა მოწყობილი იყო ფანჯრის მიმდებარედ. მიუხედავად ამისა, სკოლას მიეცა რჩევა, მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასურველია, თუ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ლაბორატორიაში დამონტაჟდება ამწოვი კარადა. ვიზიტის დასასრულს, სკოლამ წარმოადგინა ქიმიური ცდებისთვის განკუთვნილი მაგიდა, უჟანგავი და ცეცხლგამძლე მასალისგან დამზადებული, რომელიც სკოლას გადასცა გვერდით მდებარე საავადმყოფომ. გადაცემის დოკუმენტები ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი.<br>ლაბორატორიული აღჭურვილობა არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათება. ორივე სართულზე მოწყობილია სველი წერტილები. ორივე სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით.<br>წყალი და ელექტროენერგია მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აქვს წყლის რეზერვუარი. სკოლას, ასევე, აქვს სასმელი წყლის დისპანსერი. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს და იხდის კომუნალურებ გადასახადს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს საინვენტარო წიგნი, რომელშიც წიგნები გატარებულია სხვადასხვა განყოფილებაში - სფეროების მიხედვით (ხელოვნება, ტექნიკა, მეცნიერება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ზოგადი, სახელმძღვანელოები და სხვა). საერთო ჯამში საინვენტარო წიგნის მიხედვით, გატარებულია 715 ერთეული წიგნადი ერთეული. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები.<br>სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი და სამკითხველო მაგიდები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. საინვენტარო წიგნი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. პირველ სართულზე შესასვლელად და სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას დამზადებული აქვს მოძრავ-რეგულირებადი პანდუსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 11 კომპიუტერია. კომპიუტერული კლასში განთავსებულია 8 კომპიუტერი. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://davitiani.edupage.org/ სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სკოლის ვებ-გვერდი;<br>3. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საევაკუაციო გეგმების მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, იქვე გამოკრულია ხანძრის შემთხვევაში შეტყობინების გაგზავნის ტელეფონის ნომერი. სკოლას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმი. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ორივე სართულზე და სარდაფის სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და საევაკუაციო გასასვლელების მანათობელი მაჩვენებლები. საევაკუაციო გეგმები დამზადებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს „სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანის - მარინა გორშკოვა“-ს სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.<br>ექთანი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ასევე, „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვისა“ და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის“ ჟურნალებს, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების საფუძველზე.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს არის სველი წერტილი, სამედიცინო ტახტი, შირმა, მაცივარი, სამედიცინო კარადა და მაგიდა. სამედიცინო კაბინეტის ფართობი 9 კვ.მ.-ამდეა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ბრძანების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სამედიცინო კაბინეტი მოაწყოს არანაკლებ 12 კვ.მ. ფართის ოთახში.<br>არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლამ მოიწერა, რომ გაითვალისწინებს რეკომენდაციას და სამედიცინო კაბინეტს შესაფერის ოთახში გადაიტანს საზაფხულო არდადეგების დროს, რათა ეხლა სარემონტო სამუშაოებმა ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.<br>სკოლა რეგულარულად ატარებს სიმულაციებს პირველ დახმარებაზე. სკოლის ერთ-ერთი თანამშრომლის ინიციატივით, რომელიც არის წითელი ჯვრის ტრენერ-მოხალისე. ამასთან სკოლაც ჩართული იყო წითელი ჯვრის პროექტ „ჯანდაცვა საგანგებო სიტუაციების დროს“ და ამჟამად სკოლის მოსწავლეები არიან თემის მოხალისეები. ამ აქტივობის ამსახველი ფოტომასალა ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ექთანთან გასაუბრება;<br>3. მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>4. სააღრიცხვო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესის პროექტი. ამ წესის შესათანხმებლად, სკოლამ გააგზავნა სამინისტროში შესათანხმებელი წერილი და მიღებული რეკომენდაციების გამოსწორების შემდეგ გაგზავნილი უსაფრთხოების წესის გაგზავნილ ვერსიაზე ჯერ პასუხი არ არის მიღებული. სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხიემგებელი პირი.<br>სასწავლო პროცესის დროს სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის მიერ გაგზავნილი წერილები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;<br>2. სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი;<br>3. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის გარე სივრცის დათვალიერება ხდებოდა 3 კამერის საშუალებით. ვიდეოკონტროლი ხორციელდება შენობის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებული ორი კამერით და ეზოს შესასვლელზე მიმართული ერთი კამერით. მთავარი შესასვლელის კამერები იხედებოდა ერთი მიმართულებით, სკოლას მიეცა რჩევა, მთავარი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესასვლელის კამერების ხედვის მიმართულება შეეცვალა ისე, რომ ჯვარედინი ხედვა ჰქონოდათ..<br>შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხორციელდება 5 კამერის საშუალებით, მათ შორის ვიდეოკამერა დამონტაჟებული იყო სპორტული დარბაზშიც. გარდა ამისა, არ კონტროლდებოდა შედა სივრცის ერთი მცირე დერეფანი და კიბის უჯრედი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მცირე დერეფანი და კიბის უჯრედში დაემონტაჟებინა კამერები, ამასთან მოეხსნა კამერა სპორტული დარბაზიდან.<br>არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლამ განაცხადა, რომ სპორტული დარბაზიდან მოხსნილი კამერა კიბის უჯრედში დაამონტაჟა, ხოლო მეორე სართულის დერეფანში დაამონტაჟა კამერა, რომელიც სკოლამ ჩუქებით მიიღო ფიზიკური პირისგან, რის შესახებაც წარმოადგინა ჩუქების ხელშეკრულება და კამერის დამონტაჟების ფოტოები.<br>გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადები;<br>3. საბანკო გადარიცხვა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, დებულება. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები.<br>სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობებს და სხვა.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში არის დებულება დირექტორის მოვალეობებში (პუნქტი 12), რომლის მიხედვითაც დირექტორს უფლება აქვს „მშობელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მისაღებად“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით ამოიღოს ეს პუნქტი შინაგანაწესიდან.<br>სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები გაწერილი იყო სკოლის დებულებაშიც. საშტატო განრიგით დამტკიცებული იყო სკოლის საშტატო ერთეულები, ასევე, წარმოდგენილი იყო სკოლის სტრუქტურა. აღნიშნულ დოკუმენტებში ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული იყო ერთ დოკუმენტში და არ იყო დაფიქსირებული მეორე დოკუმენტში, მაგალითად, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში გათვალისწინებულია დებულებით, მაგრამ საშტატო განრიგით არ არის. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ შეიტანა ცვლილება სტრუქტურაში და ამოიღო საორგანიზაციო საკითხებში დირექტორის მოადგილის თანამდებობა სტრუქტურიდან (ვიზიტის დროს გადმოაგზავნა ახალი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტრუქტურა), მაგრამ არ ამოიღო დებულებიდან (შესაძლოა ვიზიტის დროს ცვლილება შეიტანა დებულებაში, მაგრამ არ გადმოუგზავნია). სკოლას მიეცა რეკომენდაცია დებულება, საშტატო განრიგი და სტრუქტურა მოეყვანა თანხვედრაში.<br>არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული პუნქტი ამოიღო შინაგანაწესიდან და ამასთან, დებულება, საშტატო განრიგი და სკოლის სტრუქტურა მოიყვანა შესაბამისობაში. დამადასტურებლად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისი დოკუმენტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის წესდება;<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. სკოლის დებულება;<br>4. საშტატო განრიგი;<br>5. სტრუქტურა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავეული და დამტკიცებული აქვს 6-წლიანი (2022-2028) სტრატეგიული და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები. სკოლა დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას.<br>სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია აქტივობები, რომლებსაც სკოლა გეგმავს განახორციელოს 6-წლიანი პერიოდის განმავლობაში. მატერიალურ-ტექნიკური მიმართულებით სკოლის პრიორიტეტული აქტივობებია: სასკოლო ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და წიგნადი ფონდით შევსება; კომპიუტერთა რაოდენობის გაზრდა, სისტემების განახლება; საგანმანათლებლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რესურსების დამატება/განახლება; სპორტული დარბაზის აგება და სხვა.<br>ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ანალოგიური აქტივობებია, რომელთაგან, ექსპერტთა ვიზიტისთვის ნაწილი აქტივობებისა შესრულებულია სრულად, ნაწილი აქტივობების განხორციელება დაწყებულია და საჭიროებს შესრულების ბოლომდე მიყვანას.<br>გეგმებში მითითებულია თითოეული გასატარებელი ღონისძიების შესრულების დრო ან/და პერიოდი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>2. 1-წლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს შემუშავებული “საქმისწარმოების დებულება”, რომლის მიხედვითაც, ის აწარმოებს: საერთო ბრძანებების ჟურნალს; შემოსული კორესპოდენციის ჟურნალს; გასული კორესპოდენციის ჟურნალს; შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალს. მოსწავლეთა ანბანური ჩაწერის წიგნს და მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჟურნალს.<br>ყველა მათგანი დანომრილია, ზონარგაყრილი და დაბეჭდილია. შესაბამის საქაღალდეებში დაცულია სათანადო აქტები და კორესპოდენციები და მათი ასლები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>2. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>3. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>4. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები;<br>5. საქმისწარმოების დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | 1. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მერიისგან მოიპოვოს (თუ ეს შესაძლებელია) გარანტიები, იჯარის უპირობო და უპირატესი განგრძობის შესახებ;<br>2. სკოლას მიეცა რჩევა, მოაწესრიგოს სპორტული მოედნის გრუნტიანი საფარი;<br>3. სკოლას მიეცა რჩევა, მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასურველია, თუ ლაბორატორიაში დამონტაჟდება ამწოვი კარადა;<br>4. სკოლას მიეცა რჩევა, მთავარი შესასვლელის კამერების ხედვის მიმართულება შეეცვალა ისე, რომ ჯვარედინი ხედვა ჰქონოდათ. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლაში დასაქმებულია 25 თანამშრომელი, მათ შორის 17 მასწავლებელი. სკოლის დებულებისა და სტრუქტურის შესაბამისად დაწესებულებას ჰყავს შემდეგი საშტატო ერთეულები:ადმინისტრაცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, რომელიც ამავდროულად არის პედაგოგი, ხარისხის მართვის მენეჯერი (ასევე არის მასწავლებელი) და ბუღალტერი. ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალი: ექიმი, საქმისმწარმოებელი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, უსაფრთხოების მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი და დამლაგებელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• სკოლის დებულება<br>• საშტატო განრიგი;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• 2022-2023 წლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 17 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1/6 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 3 |
| უფროსი მასწავლებლი | 7 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. აგრეთვე, ცნობები ,,ნასამართლობისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“.<br>ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 3 უსტატუსო მასწავლებელი, აქედან:<br>1. სპორტის პედაგოგს აქვს ბაკალავრის აკადემირი ხარისხი სატყეო მეურნეობის სპეციალობით, მუშაობს სპორტსკოლაში და ფლობს საქრთველოს ძიუდოს ფედერაციის მსაჯის და მწვრთნელის სერთიფიკატს;<br>2. დაწყებითის (მე-3 კლასის) პედაგოგს აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. დაწყებითი (მე-2 კლასი) განათლების პედაგოგს, ბოლნისის მრავალდარგოვანი კოლეჯის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის სპეციალობით.<br>პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ უსტატუსო პედაგოგებს სურთ პროფესიული ზრდა და გამოიყენებენ მიცემულ შესაძლებლობას საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებლად.<br>სკოლის დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ რეგიონში პრობლემურია შესაბამისი კადრის მოძიება, მუდმივად აქვს ვაკანტური ადგილების შესახებ განაცხადი გაკეთებული www.teachers.gov.ge-ზე. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის საათების შეთავსება ხდება საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებთან ვაკანსიის შევსებამდე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან;<br>• www.teachers.gov.ge |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შინაგანაწესის მე-3 თავით განსაზღვრულია სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.<br>შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში პედაგოგთა დასაქმება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კონკურსის ჩატარების მასალები. კერძოდ, დირექტორის ბრძანება ,,ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და კონკურსის გამოცხადების შესახებ“, ასევე, ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი.<br>მასწავლებლების გარდა, სხვა თანამშრომლის მიღება ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, კანდიდატთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ავტობიოგრაფია CV, ასევე ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33-[1] მუხლით გათვალისწინებული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და ნასამართლეობის ცნობები) საფუძველზე.<br>შინაგანაწესის მე-10 და მე-13 მუხლებში გაწერილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესებსი და პირობები.<br>შინაგანაწესით რეგულირდება წახალისებისა და დისციპლინური სახდელების საქმისწარმოება. სწავლებასა და აღზრდაში წარმატებებისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის წახალისება: მადლობის გამოცხადება, სიგელი, დიპლომი, პრემია (ფულადი ჯილდო ), ფასიანი საჩუქარი. წახალისება ცხადდება ბრძანებით, ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს და შეიტანება თანამშრომელთა პირად საქმეში. შინაგანაწესის თანამად, წლის ბოლოს მასწავლებლები ფასდებიან სკოლის მიერ შემუშავებული სპეციალური შეფასების ფურცლის მიხედვით შემდეგ კრიტერიუმებში:<br>✓ პროფესიული ცოდნა და უნარები;<br>✓ ვალდებულებები და ღირებულებები;<br>✓ თვითგანვითარება და თანამშრომლობა;<br>მასწავლებელს, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ ქულებს, ენიჭება წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება, პედსაბჭოს გადაწყვეტილებით.<br>შინაგანაწესში წარმოდგენილია დისციპლინარული წარმოების წესები, განსაზღვრულია დისციპლინარული გადაცდომის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახდელების სახეები: წერილობითი გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან განთავისუფლება. გაწერილია თითოეული სახდელის გამოყენების შემთხვევები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი<br>• ბრძანება N66 26.08. 2022 სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას მასწავლებლ(ებ)ის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და კონკურსის გამოცხადების შესახებ“<br>• ბრძანება N66/ბ 26.08. 2022 სპს კერძო საშუალო სკოლა „დავითიანი-მარინა გორშკოვას ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ<br>• საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი- N1; 12/09/2022<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან<br>• მასწავლებლის შეფასების ფურცელი<br>• დისციპლინარული კომიტეტის დებულება<br>• მადლობის გამოცხადების ბრძანება (№ 28 26/02/2021)- სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებს.<br>• ბრძანება წლის საუკეთესო მასწავლებლის შესახებ (ბრ. №55/ბ; 17/06/2021) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. საავტორიზაციო განაცხადთან ერთად სკოლამ წარმოადგინა |

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებები, რომლებშიც საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებების არსებითი პირობები სრულად არ იყო გათვალისწინებული (მაგალითად არ იყო ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი). სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია,შრომის კოდექსის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები და განაახლა მასწავლებლებთან ხელშეკრულებები, რომლებშიც შრომის კოდექსის მოთხოვნებია გათვალისწინებული. აღნიშნული ხელშეკრულებები სკოლამ გადმოაგზავნა ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებთან ერთად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შრომითი ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვამ წარმოადგინა მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების მიმართულებით გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი სერთიფიკატები და ცნობები. გარდა მასწავლებლებისა პროფესიული მიმართულებით ტრენინგი/გადამზადება გავლილი აქვს სკოლის ფსიქოლოგსა და საქმისმწარმოებელს.<br>ამასთან ერთად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით სკოლაში ხორციელდება დირექტორის, მოადგილისადა ხარისხის განვითარების მენეჯერის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და მასწავლებელთათვის განმავითარებელი /შეფასების მიცემა. ასევე, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ ერთმანეთზე გაკვეთილების დასწრების აქტივობებს. მასწავლებლებმა და დირექციამ წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრების მასალები - გაკვეთილის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასების სქემები და მასწავლებელზე მიცემული რეკომენდაციები. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნოემბრის ბოლოს სკოლაში ჩატარდა ტრენინიგი, მოწვეული იყო ახალი სკოლის მოდელისა და არაქართულენოვანი სწავლების კონსულტანტი, რომელმაც მასწავლებლებს გააცნო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, თავისებურებები, ძირითადი პრინციპები და მეთოდიკური ორიენტირები, ასევე არაქართულენოვანი მოსწავლეებთან ენობრივი ბარიერის დაძლევის სწავლების მეთოდიკა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ტრენინგების სერთიფიკატები და ცნობები;<br>2. გაკვეთილზე დასწრების შეფასების სქემები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>ინტერიუს დროს მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მათი შვილებისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას და ისინი სრულიად კმაყოფილნი არიან. მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში თანამშრომლობის და ურთიერტპატივისცემის განსაკუთრებული გარემოა, ასევე, სიამაყით აღნიშნეს ის გარემოება, რომ ხშირად სკოლის არაქართულენოვან მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციაში მოსწავლეები ეხმარებიან, რადგან თარჯიმნის როლს ასრულებენ. ახალი მიღებული მასწავლებლებიც კმაყოფილები იყვნენ დამხვდური მასწავლებლების თანამშრომლობის ხარისხით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ ისაუბრეს სკოლის მასწავლებლების მხრიდან მუდმივ მზაობაზე მათ დასახმარებლად. ასევე სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, მათი ინტერესების შესაბამისი ინიციატივები ყოველთვის მხარდაჭერილია.<br>სკოლამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებში წარმოადგინა იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელსაც სკოლა ახორციელებს. მათ შორიასაა: აქცია "სიკეთის ეპიდემია"; „ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა განათლებისა და საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა"; საქართველოს პარლამენტში ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი არაფორმალურ გარემოში, ქალაქ ბოლნისის, კერძო სკოლა ,,დავითიანის, მაღალი კლასების მოსწავლეებს შეხვდა და მცირე ხნით მათთან ერთად ბავშვობაში დაბრუნდა; 2022 წლის 2 დეკემბერს სკოლის პედაგოგებს სტუმრად ეწვივნენ ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმ.იოანე ბოლნელის სახ.სკოლის პედაგოგები.<br>ყოველივე ეს აქტივობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას პოზიტიური გარემოს შექმნას |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუები სკოლის წამომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 23.01.2023.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 50



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.